საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სტუდენტური საგანმანათლებლო, კულტურულ-შემოქმედებითი და სპორტული სახის პროექტების შესარჩევი

საკონკურსო კომისიის

სხდომის ოქმი №2

ქ. ბათუმი 14 იანვარი 2020

სხდომას ესწრებიან საკონკურსო კომისიის წევრები:

1. **თამარ სირაძე** / - - - - - - - - - - - -
   ბსუ-ს რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში **(კომისიის თავმჯდომარე);**

2. **გოჩა სურგულაძე** / - - - - - - - - - - -
   ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის, სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და მხარდაჭერის განყოფილების წამყვანი სპეციალისტი **(კომისიის მდივანი);**

3. **ედიშერ ჩავლეიშვილი** / - - - - - - - - - - -
   ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის აპარატის უფროსი **(კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);**

4. **ნინო ინაიშვილი** / - - - - - - - - - - -
   ბსუ-ს მთავარი მეცნიერ თანამშრომელი;

5. **რევაზ ოკუჯავა** / - - - - - - - - - - -
   ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის, კულტურისა და სპორტის განყოფილების უფროსი;

6. **პაატა არაშიძე** / - - - - - - - - - - -
   ბსუ-ს აკადემიური საბჭოს წევრი, ბიზნესის ადმინისტრირების, მენეჯმენტის და მარკეტინგის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;

7. **მიხეილ კოპლატაძე** / - - - - - - - - - - -
   აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის, საერთაშორისო ტურიზმის სტიმულირების სამსახურის უფროსი.

დღის წესრიგი:

ბსუ-ს 2019-2020 სასწავლო წლის ***სტუდენტური საგანმანათლებლო, კულტურულ შემოქმედებითი და სპორტული*** სახის პროექტების გამოვლენის, განხილვისა და დაფინანსების მიზნით 2020 წლის იანვარში ჩატარებული კონკურსის შედეგების შესახებ შემაჯამებელი ოქმის დამტკიცება.

მოისმინეს: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ, თამარ სირაძემ კომისიის წევრებს მოახსენა, რომ 2019 წელს წარმოდგენილი ***საგანმანათლებლო, კულტურულ შემოქმედებითი და სპორტული*** სახის პროექტებიდან კომისიამ განიხილა 13 განაცხადი და დაფინანსების მიზნით რეკომენდაციას უწევს 6 (ექვსი) პროექტს:

1. **„ეკონომიკური დებატები ბსუ 2020“** - პროექტის ავტორი: **ნესტან ვარშანიძე,** ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის, ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი, პროექტის ბიუჯეტი: **5387 ლარი (387 ლარი თანადაფინანსება);**
2. **„QB ბიბლიოთეკა“** - პროექტის ავტორი: **ნინო ცინცაძე,** ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის, ბიზნეს ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი, პროექტის ბიუჯეტი: **1680 ლარი;**
3. **„მართვადი პროგრამირებადი მულტიფუნქციური ელექტრონული დაფა“** - პროექტის ავტორი: **თორნიკე ლასურიძე,** ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის, ფიზიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი, პროექტის ბიუჯეტი: **5000 ლარი;**
4. **„გადააზრების კრიტიკული ზღვარი“** - პროექტის ავტორი: **არჩილ ბერიძე,** ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის, ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი, პროექტის ბიუჯეტი: **4660 ლარი;**
5. **„პირველადი დახმარება ყველგან და ყველასთვის“** - პროექტის ავტორი: **ნინო გორგილაძე,** საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის, მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი, ბიუჯეტი: **4400 ლარი;**
6. **„თანამედროვე მასწავლებელი“** - პროექტის ავტორი: ნინიკო კოსოლიძე, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის, ინგლისური ფილოლოგის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი, ბიუჯეტი: **5000 ლარი;**

კომისიამ ერთხმად დაადგინა: დამტკიცდეს წინამდებარე შემაჯამებელი ოქმი და კომისიის თავმჯდომარის მიერ კანცელარიული წესით წარედგინოს რექტორსა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: თამარ სირაძე / _____

საკონკურსო კომისიის მდივანი: გოჩა სურგულაძე / _____